

თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს

საიუბილეო კრებული მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80
წლისთავისადმი

Юбилейный сборник посвященный Георгию Саридановичу Ахвледiani в связи с
80-летием со дня рождения

თბილისი • 1969

#131

მზექალა შანიძე

ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში

ი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები, როგორც ცნობილია, ქართულში მეტწილად უშუალოდ ბერძნულიდან, ან ბერძნულის მეშვეობითაა შემოსული. რაოდენობა ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმებისა ქართულში საკმაოდ დიდია. სასულიერო მწერლობის ძეგლებში ასეთი სახელები მრავლადაა და ზოგიერთი მათგანი საქართველოში ამჟამადც ხშირად იხმარება.

გარკვეულია, რომ ფუძის ბოლო ხმოვნად ი არის იმ სახელებში, რომელთაც ბერძნულში ნომინატივში აქვთ დაბოლოება იც (ა კ ა კ ი 'Ακάκιος, ა მ ბ რ ს ი 'Αμβρόσιος, ალექსი 'Αλέξιος), იც (ორენტი 'Ορέντες) და ზოგიერთი სხვაც. ქართული ფორმა ამ სახელებისა შეესატყვისება ბერძნულ ვოკატივს, რაც მოწმობს, რომ ისინი ზეპირი გზითაა ქართულში შემოსული¹.

ძველ ქართულში კარგად ჩანს, რომ ბოლო ი ამგვარ ანთროპონიმებში ფუძისეულია: ა რ ს ე ნ ი უწოდეს (წრფ. ბრ.² იოან. და ეფთ. 41); პ ა ნ ს ო ფ ი მეწოდების (კიმ. 49, 12)³; გლახაკმან მ ა კ ა რ ი შევწირე (სინ. მრ. 281,1); კათალიკოზსა მ ა კ ა რ ი ს აუწყა (ასურ. 112,5 ო); იოვანეს და ა რ ს ე ნ ი ს ფრიადი სიყუარული აქუნდა ერთმანერთისად (იოან. და ეფთ. 25); გიხაროდენ... ა ნ ტ ო ნ ი (მოდრ. 107 v); მღდელთმოდლუარო გ რ ი გ ო ლ ი (მოდრ. 123 r).

¹ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში. წიგნში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 145 და შემდ.

² უ წ ო დ ა ზმნასთან სახელი წრფელობით ბრუნავს: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში. წიგნში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურენებში, I, 1956, გვ. 60.

³ ეს მაგალითი ამოღებულია ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 73.

ახალ ქართულში, ძველისაგან განსხვავებით, ყველა სახელი, რომელსაც ძველ ქართულში ფუძისეული ი ჰქონდა, ერთნაირადარ იბრუნვის: ერთი ნაწილი ამგვარი ანთროპონიმებისა თანხმოვანფუძიანად არის დღეს ქცეული

#132

(ანტონ, გრიგოლ); ამ სახელებში, ისევე როგორც ი ხმოვანფუძიან უცხო წარმოების საზოგადო სახელებში, ფუძისეული ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა მიჩნეული⁴. საკუთარ სახელთა მეორე ნაწილი კი ფუძისეულ ი-ს ინარჩუნებს (გიორგი, აკაკი)⁵.

ასეთი დიფერენციაცია გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ისტორიულად ი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი დღეს თანხმოვანფუძიანადაა ქცეული იმ შემთხვევაში, თუ ი-ს წინ მიუძღოდა ხმოვნის მომდევნო სონორი თანხმოვანი (ლ, რ, მ ან ნ), ე. ი. მაშინ, თუ ძველ ქართულში ფუძისეული ი დასტურდებოდა VCs - # პოზიციაში. ასეთი სახელებია (მოგვყავს ახალი ქართულის ფორმები):

ბასილ (ვასილ), გრიგოლ;

ელევთერ (ელეფთერ), მაკარ, ნესტორ;

არტემ, პახუმ;

ანტონ, არსენ, პართენ, პარმენ, სოფრონ (სოფრომ);

ფუძისეული ი შენარჩუნებულია, თუ გვხვდებოდა: ა) ხმოვნის მომდევნო არასონორი თანხმოვნის შემდეგ:

VCN - # აკაკი, ალაპი, ამბროსი, არკადი, გელასი,

გენადი, გერვასი, ევტიხი, მელეტი, მეთოდი,

პალადი, პროკოპი (პროკოფი), ტარასი.

ბ) თანხმოვნის მომდევნო თანხმოვნის შემდეგ:

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 67.

⁵ ზოგჯერ ასეთი სახელებიც შეიძლება აქა-იქ დიალექტებში თანხმოვანფუძიანის კვალობაზე იბრუნოს: აკაკმა, გიორგს (ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 71). ასევეა აგრეთვე ხევსურულში: რა მიგაწერავ, აკაკო? (ბეს. გაბუური, ხევსურული მასალები, წელიწდეული, I-II 1924, გვ. 255).

CC - #

CNCN - # ალექსი;

CSCN - # ამბერკი, გიორგი, სერგი; ხარლამპი;

ავქსენტი (აქსენტი), ბიკენტი, გერონტი, დომენტი,

ინოკენტი, კლიმენტი, ლავრენტი, ლეონტი, მამანტი,

პოლიევკტი, ტერენტი;

CNCS - # დიმიტრი, ირაკლი⁶.

ზოგიერთი სახელის შესახებ, რომელიც, ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამჟამად თანხმომავანფუძიანი უნდა ყოფილიყო, შეიძლება შემდეგი შევნიშნოთ:

#133

ე ვ გ ე ნ ი (Евгені) უძველეს ქართულ ტექსტებში გვხვდება, როგორც წმინდის სახელი: ევსტათი, ევქსანტი და ევგენი (მოძრ. 117r). აქა-იქ იგი ქართველთა შორის ხმარებულ სახელებშიც ჩანს: ღმერთმან აკურთხენ ევგენი (XI ს. ანდერძი, A IV, 89), მაგრამ მაინცდამაინც გავრცელებული, ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, არ უნდა ყოფილიყო. ცოცხალ მეტყველებაში, საერთო წესის თანახმად, ეს სახელიც თანხმომავანფუძიანია: მერე ამ ამ არზით აბაშიძე ქაიხოსრო და ევგენ რომ ჩხეიძეებს ასე უჩივიან (1793 წ. მას. II, 103); აბაშიძეებო ევგენ და დავით (1800 წ. მას. II, 252); ევგენ აბაშიძის ხელით... გეგობათ (1797 წ. მას. II, 297). ეს სახელი იოს დაბოლოებითაც გვხვდება: ევგენიოს არხიმანდრიტის წიგნი (1826 წ. მას. II, 272). საგულისხმოა, რომ ეს მწიგნობრული ფორმა სახელისა სასულიერო პირს ეკუთვნის. ტენდეცია ფუძისეული ხმოვნის შენარჩუნებისა თანამედროვე ქართულში (ევგენიმ თქვა) რუსულის გავლენას უნდა მიეწეროს. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ხმოვანფუძიანობა ისეთი სახელებისა, როგორიცაა ანატოლი და ვიტალი; ისინი გვხვდებიან სასულიერო მწერლობის ძეგლებში, მაგრამ ქართულ ისტორიულ წყაროებში სრულიად არ ჩანან.

⁶ თანხმომავანფუძიანად ქცეული სახელები ჩამოთვლილია შემდეგისდაგვარად სრულად, დანარჩენ შემთხვევებში მოყვანილია მხოლოდ შედარებით გავრცელებული სახელების ნიმუშები. ნათარგმნ ძეგლებში, აგიოგრაფიულ და ლიტურგიკულ ლიტერატურაში მრავლად გვხვდება სახელები, რომლებიც ქართულ ონომასტიკონში ნაკლებადაა ცნობილი. მაგალითად ნ. ჩაჩიკაშვილის მიერ 1756 წ. გადაწერილ სვინაქსარში (S 2569, აღწ. S IV, 56-91), სხვასთან ერთად, გვხვდება; ავლიპი (ალვიპი, ალვპი), ავსივიევი, არიადნი, აფროდისი, დისიდერი, დონატი, ევმენი, ევრეპი, მიროპი, სავატა, სისინი, სქინნი და სხვ.

კორნელი (ლათ. Cornelius) აგრეთვე საკმაოდ იშვიათი სახელი უნდა ყოფილიყო ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ იგი უძველეს ლიტურგიკულ ტექსტებშია დამოწმებული. მიქელ მოდრეკილის იადგარში (978-988 წწ.) გვხვდება როგორც კორნელიოს (კორნელოზ), ისე კორნელე (კორნილე, კურნილე, კვრნილე და სხვ.) და კორნელიე (მოდრ. 141 v-142r): ოკდომბერსა კ' კორნელიე ასისტავის[ა]ჲ (141v). სიმრავლე სხვადასხვაგვარი დაწერილობებისა აგრეთვე მოწმობს ამ სახელის იშვიათობას: ჩვეულებრივ, რაც უფრო კარგადაა ცნობილი სახელი, მით უფრო ნაკლებია წმინდა ორთოგრაფიული ხასიათის სხვაობანი მის დაწერილობაში. კორნელიე (რომელშიც, შესაძლოა, ბოლო ე ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიითაა მიღებული) ჰრქმევია ძველი მწერლობის კარგი მცოდნის, გადამწერის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ერთ-ერთ შვილს: მე, ცოდვილი მწერალი, ჩაჩიკასშვილი მღვდელი ნიკოლოზ გევედრები მშვიდობასა, სიცოცხლე... უბოძე... ძესა ჩემსა კორნელიეს (1789 წ. S 454, აღწ. S I, 584). უფრო მოგვიანებით კორნელიოს სახელის სხვა დამახინჯებული ფორმებიც გვხვდება სასულიერო პირთა სახელებას: კონილიოზ მღვდელს ექვსი აბაზი საწირავებისთვის მიეცა (1813 წ. მას. I, 331); უწირავს მღვდელს კონოლიოს (XIX ს. I ნახ. მას. III, 530). დღეს სახელი კორნელი იშვიათია, საცა კი არის, მწიგნობრული წყაროებიდან მომდინარეობს და ამიტომ ფუძისეულ ი-ს ინარჩუნებს ბრუნებაში (კორნელიმ, მიც. ბრ. კორნელის); ცოცხალ მეტყველებაში ეს სახელიც თანხმოვანფუძიანია ხშირად: იუწყებიან კორნელ გ-ს-მე რ...ს გარდაცვალებას (გაზ. „თბილისი“, 10. IV. 1967). ავტორსაც, რომელიც განსვენებული კორნელი კეკელიძის ლექციებს ისმენდა სტუდენტობისას, ხშირად გაუგონია ამხანაგებში: კორნელმა დღეს კარგი ლექცია წაიკითხაო. ასევე შესაძლოა გავიგონოთ ცოცხალ მეტყველებაში ევგენმა და ანატოლმა.

#134

კლიმი (Κλημης) ხმოვანფუძიანია ძველ ქართულში: ღირსო კლიმი (მოდრ. 119 r), მღდელთმოდღუარო კლიმი (121r). გვხვდება აგრეთვე ამ სახელის უფრო ადრეული ბერძნული წარმოთქმის ამსახველი ფორმა კლემე: ვაქებდეთ... კლემეს ანკვრელსა (მოდრ. 117 v), კლემე ახოვანო (მოდრ. 119r). ეს სახელი დადასტურებულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში: ბერსა კლიმის შეუენდვენ ღ~ნ (XI ს. A 1105, აღწ. A IV, 86, 88); ალაპი განუწესეთ ბერსა კლიმის (ათ. 225; ტექსტის ხელით, ხელნაწ. 189 r); დაიწერა ჯელითა... კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლაჩას მისათა (1440 წ. სიძვ. II, 15). ცოცხალ მეტყველებაში ეს სახელიც თანხმოვანფუძიანი უნდა გამხდარიყო: კლემ[მ]ა ჩამოიტანა... ღვინო (XVIII ს. დასასრ. მას. II, 154). კლიმ სახელის კნინობითი ფორმიდან⁷, ალბათ,

⁷ კნინობითი ფორმები საკუთარი სახელებისა საშუალო საუკუნეების საბუთებში ძალიან ხშირია. დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები მეტწილად სწორედ კნინობითი სახელებით

მოდის გვარი კლიმიაშვილი: კლიმიაშვილს თამაზას მართებს... კლიმიაშვილს გლახას მართებს (1812 წ. მას. II, 203).

ერთიდაიმავე ფუძის მქონე საკუთარი სახელები ბერძნულში ხანდახან სხვადასხვაგვარადაა წარმოები და შესაბამისად სხვადასხვა დაბოლოება აქვთ. რამდენიმე ასეთი სახელი ქართულშიც შემოსულა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგ სახელს ძველ ქართულშივე აქვს პარალელური ფორმები - ორი ან მეტიც. მაგალითად, ძველ ქართულში გვხვდება ევთჰმი, რომელიც კანონზომიერი გადმოცემაა ბერძნული **Ευθυμιο** სახელისა: ევთჰმი ღმერთშემოსილო... ღირსო ევთჰმი (მოდრ. 112 r). მიქელ მოდრეკილის იადგარში ყველაზე ხშირი ეს ფორმაა. ამ სახელს რომ ძველსავე ქართულში პარალელური ფორმა არ ჰქონოდა, მოსალოდნელი იქნებოდა ახალ ქართულში მისი თანხმოვანფუძიანი ვარიანტის დამკვიდრება. ევთჰმე, ან ევთიმე, რომელიც **Ευθυμ** სახელის ვოკატივის ფორმას გადმოსცემს⁸, აგრეთვე დადასტურებულია ძველ ქართულში: იანვარსა კ, მამისა ევთიმესი (მოდრ. 111v), „იოანესა და ევთჰმეს ცხოვრებაში“ ევთჰმე მთაწმინდელის სახელს ოთხი ფორმა აქვს: ა) ე ვ თ ჯ მ ი; არასრულნა... მამამან ჩუენმან ევთჰმი... ჟამნი (იოან. და ევთ. 47); ბ) ე ვ თ ჯ მ ე: ევთჰმე წინამძღურობაჲ დაუტევა (49); გ) ე ფ თ ჯ მ ი: ევედრებოდა მამასა ევთჰმის (24); დ) ე ფ თ ჯ მ ე: მამაჲ ჩუენი ევთჰმე (48)⁹. უკანასკნელი ფორმა ყველაზე ხშირია ტექსტში, რომელიც დაბეჭდილია 1074 წ. ხელნაწერის მიხედვით (A 558). ექვთიმე, რომელიც ევთჰმე-საგან არის მიღებული, დღეს საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა ამ სახელისა. მწიგნობრული ევთიმოს ზოგჯერ მოგვიანებითაც

#135

გვხვდება საეკლესიო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ტექსტებში: არხიმანდრიტისა... წინამძღვრისა ევთიმოსისა (1785 წ. A 1305, აღწ. A IV, 378).

ე ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი შეიძლება ყოველთვის შესაბამისი ბერძნული ფორმის გადმოცემას არ წარმოადგენდეს. ზოგჯერ ე დაბოლოების არსებობა ქართულში უნდა აიხსნას ანალოგიით სხვა ამგვარ სახელებთან, რომელთა რიცხვი ქართულში მეტია ი ხმოვანფუძიანებზე.

ძველ ქართულში ჩვეულებრივია მ ა კ ა რ ი: თარმნილნი გლახაკისა მაკარისნი (მოდრ. 269 v); გლახაკმან მაკარი შევწირე (სინ. მრ. 281, 1), მაკარიოს

იხსენიებიან. მაგალითად, 1578 წ. დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარს წარმოადგენს, ვკითხულობთ: მართებს დავითას (დავთ. 15)... ოქროპირასი... თევდორას (დავთ. 18)... ავთანდილასა (დავთ. 22)... დემეტრასა... გიორგას... ივანას... მიქელასა (დავთ. 24026). და სხვ.; ამისი მოწამე - ამირჯანა, ამბროსა და ანტონა (1667 წ. მას. III, 3). ეს მოვლენა ახლაც ცოცხალია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, სადაც კნინობითი სახელები საკმაოდ გავრცელებულია: იოსება, გიორგა, დავითა და სხვ.

⁸ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული... სახელების გადმოცემისათვის, გვ. 152-153.

⁹ სამიუბელში, რომელიც გამოცემას ერთვის, ევთჰმი ფორმა მითითებული არაა (გვ. 164).

მოგვიანებითაც გვხვდება: ქ~ნსა ტნზ; აქა მოვიდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს (1674 წ. H 1755, აღწ. H IV, 186). უჩვეულოა ქართული ტრადიციისთვის მაკარე; ეს სახელი ჰრქმევია ჯავრის ერთ-ერთ მამას (1620-1643 წწ.) იერუსალიმში: კანდელი დაუკიდეთ გოლგოთას ჩუენ, მამამან მაკარე და ძმათა (იერ. 94, 143). თანამედროვე ქართულში მაკარ თანხმოვანფუძიანი სახელია.

ძველ ქართულში გვხვდება როგორც პორფირი, ისე პორფიროს და პორფირე: პორფირი გაზელ ეპისკოპოსისაჲ (კალენდ. 361); პორფიროზ (sie) ეპისკოპოსისაჲ გაზაჲსაჲ (კალენდ. 260); ვაქებდეთ... პორფირეც (მოდრ. 117 v). მწიგნობრული პორფირიოს გვიანაც შეიძლება შეგვხვდეს: მოსაგსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირიოს ფილასოფოსისათა (1792 წ., S 266, აღწ. S I, 276). დღეს გავრცელებული პორფილე რ-ს დისიმაციითაა მიღებული პორფირე-დან. ასევეა მიღებული მერკვლე (მერკვრე-საგან), რომელიც უძველეს ტექსტებშია დადასტურებული: წმიდისა მერკვლესი (მოდრ. 163 v). აქვე გვხვდება მერკვრიოს (163 v), რომელიც ბერძნულ **Μερκουριος**-ის ნომინატივის ფორმას გადმოსცემს, და სხვა ვარიანტებიც ამ სახელისა: მერკვრე (163 v), მერკვლეოზ (163 v) და სხვ. მერკვლე სახელისაგან ან მისი კნინობითის ფორმისაგან უნდა იყოს ნაწარმოები გვარი მერკვილაძე.

ს. ყაუხჩიშვილს აღინშნული აქვს, რომ ნემესიოსის თარგმანში ჩვეულებრივ გვხვდება: იტყვის არისტოტელი, მაგრამ მიცემითსა და მოთხრობითში ყოველთვის არის არისტოტელს და არისტოტელმან, მაშინ როცა სახელები ქ ს ე ნ ო კ რ ა ტ ი და ი პ ო კ რ ა ტ ი შესაბამის ბრუნვებში ყოველთვის ინარჩუნებენ ფუძისეულ ხმოვანსო¹⁰. ესეც ადასტურებს თანხმოვანფუძიანად ქცევას ისეთი სახელისა, რომლის ბოლო ი ხმოვანი წინამავალი ხმოვნის მქონე სონორ თანხმოვანს მოსდევს.

ამრიგად, ი ხმოვანფუძიანი ბერძნული სახელები, რომელთაც ძველ ქართულში ფუძისეული ი VCs - # პოზიციაში აქვთ დადასტურებული, დღევანდელ ქართულში ფუძეთანხმოვნიანად არის ქცეული: იმ გამონაკლისებს, რომელიც განვიხილეთ, თავ-თავისი ახსნა მოეპოვება¹¹.

თანხმოვანფუძიანებთან გათანაბრების პროცესი ადრევე დაწყებულა. ამას ადასტურებს მაგალითები, რომლებიც ძველი ქართული ენის ძეგლებში გვხვდება:

#136

კათალიკოსნი... გრიგოლ ~გ... გრიგოლ ~თ (შდრ. იქვე: გეორგი ი~ა... არსენი ი~დ... ევსუქი ი~ე, ბასილი ი~ვ... არსენი ი~თ (მოქც. 97). ამ სიაში თანხმოვანფუძიანი სახელები, ძველი ქართულის ნორმის მიხედვით, ყველა ბრუნვის ნიშნის გარეშეა

¹⁰ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული... სახელების გადმოცემისათვის, გვ. 158-159.

¹¹ ამგვარ ი ხმოვანფუძიან ბერძნულ სახელთაგან ზოგი სრულიად არ იხმარება ქართულ ონომასტიკონში: ასტერი, აპოლინარი.

მოცემული: კლემენტოს დ... სამოველ ზ~ (იქვე); ბასილსა შეუნდვენ ღმერთმან (მოქც. 152); შენ, გრიგოლ, ჰბაძევდი დიდსა ბასილს (მოძრ. 140 v); ნისტორ, მგმობარი ხატისა მის შენისაჲ (მოძრ. 22 v); ჰრცხუენოდენ ნისტორს (მოძრ. 194 v, შდრ. ნისტორიოს, განმყოფელი ხატისა ქრისტჳსი 270 r). უძველეს ძეგლებში ეს სახელები ზოგჯერ ფუძეთანხმოვნია ე. წ. სახელ-გვარულ სინტაგმებში: გ რ ი გ ო ლ პერთეველისაჲ (მოძრ. 137 v); გ რ ი გ ო ლ ნოსელისა თქმულნი (იოან. და ეფთ. 29).

ისეთ ძეგლებში, როგორიცაა „ცხოვრება გრიგოლ ხანძთეისა“, უკვე ხშირია ამ სახელის ახალი ფორმა: მამაჲ გ რ ი გ ო ლ (ხანძთ. 258); ნეტარი გ რ ი გ ო ლ (259); მამამან გ რ ი გ ო ლ (252); ჰრქუა... გრიგოლს (259, 262); მამაო გრიგოლ (253); ბრძენო გრიგოლ (252).

ზემოთ ჩვენ ვნახეთ მაგალითები სახელის ახალი ფორმის პარალელურად (ზოგჯერ უფრო გვიან ხანაშიც) არქაული ფორმის ხმარებისა. ასეთი შემთხვევები საშუალო საუკუნეებში ბევრია და XVII-XIX ს. ტექსტებშიც კი იჩენს თავს. ეს იმიტომ ხდება, რომ ცოცხალ მეტყველებაში, როგორც ჩანს, სულ უფრო იკიდებდა ფეხს ახალი ფორმები, წერილობით ძეგლებში კი შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ სალიტერატურო ტრადიციით დაკანონებულ ფორმათა ხმარებას.

ვაჰანის ქვაბის ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც 1204 წელსაა შესრულებული, იკითხება: შეიწყალე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა-მეფე და დედოფალი თამარ; წელსა მეფობისა მათისასა ~კ ანტონ ჰყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე (ჯავახეთ. 51).

განსწავლული მწიგნობარი და მწერალი აბუსერისძე ტბელი, ავტორი თხზულებისა „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში“, რომელსაც 1233 წ. გადაწერილი ავტოგრაფული ნუსხით (A 85) ვიცნობთ, ამ ნაწარმოებში სახელს ბასილი ფორმით ხშირად ხმარობს და უკლებლივ ყოველთვის ი ხმოვანფუძიანად მიიჩნევს; იხილის... ნეტარმან ბასილი (აბუს. 56); ბასილი ჰმა-ყო (62); ბასილი... თხარა (იქვე); ნეტარსა ბასილის გამოუჩნდა (58); ეცა ქვაჲ ბასილის (60); ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი! (57); ნუ შეძრწუნებულ ხარ, ჳ ბასილი! (58).

უფრო მოგვიანებით შემთხვევები ა ნ ტ ო ნ, ბ ა ს ი ლ და მსგავსი სახელების ბრუნებისა თანხმოვანფუძიანების კვალობაზე სულ უფრო ხშირდება: მისსა ძმასა ბ ა ს ი ლ ს ა (XIV ს. S 1595, აღწ. S III, 53); ქართლისა კათალიკოზმან ბ ა ს ი ლ (1531 წ. სიძვ. II, 402); ცოფვილსა სოფრონს შ~ს ღ~ნ (1512 წ. ფსალმ. 026); მანგლელი ეპისკოპოზი არსენ ოსტატი... ქ~კს ტ~ნე (1667 წ. მანგლ. 15); ბერი ა რ ს ე ნ (1699 წ. დოკ. I, 107); გ რ ი გ ო ლ ს მღდელს - აბაზი ა... გ რ ი გ ო ლ ბერს მივეცი თ ხუთი აბაზი (1707 წ. სიძვ. II, 279 – 280); მღვდელს ბ ა ს ი ლ ს დამიწერია (1710 წ. დოკ. I, 144); ბატონი ა რ ს ე ნ, ხარჰაშნელი (1692-1703 წწ. სიძვ. II, 430); ეპისკოპოს დოლენჯიშვილს ა რ ს ე ნ ს (1715 წ. დოკ. I, 169); მე, პ ა ხ უ მ ს დამიწერია (1725 წ. დოკ. I, 394);

მოგეცით... ბ ა ს ი ლ ს ა და საბასა (1722 წ. ახლო, იმ.-გურ. 55); ძმასა შენსა ს ო ფ რ ო ნ ს ა (1731 წ. იმ.-გურ. 72); მოგეცით... ვახტანგს, ს ო ფ რ ო მ ს ა (1754-1768 წწ. იმ.-გურ. 117); კათალიკოს-პატრიარქ ბატონიშვილს ბატონს ა ნ ტ ო ნ ს (1747 წ. დოკ. I, 333); მოქალაქე სოღრუანთა ა ნ ტ ო ნ მ ა ისევ მოქალაქეს ოქრომჭედელს უჩივლა (1756 წ. სამდ. 28); ამისი მოწამე... ბასილისშვილი გ რ ი გ ო ლ (1774 წ. საეკლ. საბ. II, 49); პ ა ხ უ მ ბერის ხელით (1808-10 წწ. მას. III, 34); პ ა ხ უ მ ბერი ქალაქს გამოუგზავნიათ (1809 წ., მს. I, 285); ურბნისის დეკანოზს პ ა რ თ ე ნ ს მივეცით (1815 წ. ახლო, მას. III, 448); ბატონისშვილი ვახტანგ გიბრძანებ, პ ა რ თ ე ნ მდივანო და ქაიხოსრო ტუსისშვილო... ქკს უოე (პირი საბუთისა, 1828 წ. S 3728, 167 v); აგვისტინეს და ა რ ტ ე მ ს (XIX ს. დასაწყისი, მას. III, 556); მის მაღალღირსებას უფალს პ ა რ მ ე ნ ს (1840 წ., S 3677, 32 r, აღწ. S V, 157).

XVII-XVIII საუკუნის ძეგლებში საერთოდ ხშირია ყოველგვარი საკუთარი სახელების ბრუნების ძველი და ახალი ნორმების ერთმანეთში არევა: ჩვენ... მეორემ ი რ ა კ ლ ი მ... პატრონმან დ ა რ ე ჯ ა ნ, პატრონმან გ ი ო რ გ ი მ... ლ ე ო ნ, ვ ა ხ ტ ა ნ გ, ბერმა ა ნ ტ ო ნ ი მ, მ ი რ ი ა ნ, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ, ფ ა რ ნ ა ო ზ და ა რ ჩ ი ლ მ ა ნ... დ ა ვ ი თ, ი ო ა ნ ე მ, ბ ა გ რ ა ტ და ს ო ლ მ ო ნ... ესე მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალებ და გიბოძებ (1780 წ. პირი, სიძვ. II, 492). ამ ნაწყვეტში ჩამოთვლილია თოთხმეტი სახელი, რომელიც მოთხრობით ბრუნვამია; აქედან რვა ფუძის ფორმითაა - ბრუნვის ნიშანი არა აქვს, ერთს ბრუნვის ნიშნად აქვს -მან, და ხუთს -მ. მსგავსი ფაქტები ჩვეულებრივ შედეგია ძველი ნიმუშების უნებლიე მიბადვისა, როცა მწერალი ვეღარ ახერხებს თანმიმდევრობის დაცვას და ნაწერში შიგადაშიგ ცოცხალ ენაში გავრცელებულ ფორმებს ურევს. ზოგიერთი ავტორის ენაში კი ძველი ფორმების ხმარება ენის არქაიზაციის სრულიად შეგნებული მცდელობის შედეგია. ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა სასულიერო პირთა და პირველ რიგში ანტონი კათალიკოსის ენა. სხვა მრავალრიცხოვან არქაულ თუ ფსევდოარქაულ ფორმებთან ერთად ანტონის ნაწერებში ასეთიც გვხვდება: გ რ ი გ ო რ ი¹² ნარეკელმან აღწერა (მზამეტყვ. 116); ამან უსჯულომან ტათეველმან გ რ ი გ ო რ ი აღწერნა (მზამეტყვ. 111); ნეტარი ა თ ა ნ ა ს ი ტყვის (მზამეტყვ. 327); საბუთებში იგი თავის თავს ანტონი-დ იხსენიებს: კათალიკოს-პატრიარხმა, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან ა ნ ტ ო ნ ი ესე... გიბოძებ (1769 წ. სიძვ. III, 7); კათალიკოს-პატრიარხმან, პატრონმა ა ნ ტ ო ნ ი... დაგიწერეთ (1780 წ. სიძვ. III, 165); ერთ-ერთ საბუთში, რომელიც გაიოს არხიდიაკონს მიუერთმევია კათალიკოსისათვის, ვკითხულობთ: პატრიარხსა ა ნ ტ ო ნ ი ს... ესე შეუძრუწლი მტკიცედ პირი და

¹² ფუძისეული ხმოვნის შენარჩუნების გარდა ანტონი ამ სახელში ორ რ-ს ხმარობს ბერძნულის შესაბამისად (...); ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964, გვ. 34.

აღთქმად მოგართვთ ჩუჴნ, თქუჴნ ყმათა... და მჰსგავსად ჩუჴნსა აღთქმის-
მდებლობენ ჩუჴნნი ყმანი (1769 წ. იმ.-გურ 118); მთელი საბუთი თვით ანტონის
სტილითაა დაწერილი, ამიტომ სახელის არქაული ფორმის ხმარება აქ გასაკვირი
არაა. სხვა პირები მიმართვისას მისი სახელის

#138

ახალ ფორმასაც ხმარობენ: ესე წიგნი მოგართვით... კათალიკოზ-პატრიარქს
ბატონიშვილს ბატონს ანტონს (1747 წ. დოკ. I, 333).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XVII-XVIII
საუკუნის ცოცხალ მეტყველებაში ისეთი სახელები, როგორიცაა ანტონ, არტე
მ, არსენ, ბასილ, გრიგოლ, ელევეთერ, მაკარ, ნესტორ, პართენ, პა
რმენ, სოფრონ თანხმოდანფუძიანებია და მათი ბრუნება როგორც
ხმოდანფუძიანებისა მწიგნობრული ტრადიციის გავლენას უნდა მივაწეროთ.
გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, მწიგნობრული ფორმები სახელებისა
ხშირად გვხვდება როგორც სასულიერო პირების სახელები. სხვა მაგალითებია:
ცაგარელ მიტროპოლიტმან ანტონიმ (1770 წ. საეკლ. საბ. II, 42); მოგართვით
ნიკოლაოსწმიდელ არხიეპისკოპოსს სოფრონოსს (1799 წ. საეკლ. საბ. II, 116);
გაენათელ მიტროპოლიტს უფალს ეფთვიმის... მოგართვით (1800 წ. საეკლ. საბ.
II, 117); მოლუაწეო ელევეთერი, ანგელოზთა მობადეო (XVIII ს., S 166. გვ. 122).

სახელები, რომელსაც ფუძისეული ი VCN - # ან CC - # პოზიციაში აქვთ,
ფუძეხმოვნიანად რჩება ქართულში; უბრძანა გიორგის, ალექსის, ლეონტი
ის - ეს ფორმები ერთნაირია როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში.

ასეთ სახელთაგან მხოლოდ ერთია ფუძეთანხმოვნიანად ქცეული: ზინობ
ი, რომელიც გადმოსცემს ბერძნულ Ζεινοβ სახელს, უკვე ძველ ტექსტებში
შეიძლება ზინობ ფორმით შეგვხვდეს: ზინობ მღუდელმოწამისა (XI-XII ს. S
384, აღწ. S I, 465); წამებად წმიდათა მოწამეთა ზინობ მღდელმოწამისა და
ზინობია, დისა მისისა (XII ს. A 1053, აღწ. A IV, 25). ზინობ, შესაძლოა
მიღებულია ძველად კარგად ცნობილი ბიბლიური სახელის იაკობ-ის
ანალოგიით, ზინობ/ზინოფ აქა-იქ დღესაც გვხვდება (დასავლეთ
საქართველოში) და ფუძეთანხმოვნიანის კვალობაზე იბრუნვის.

ზოგჯერ იმ სახელებსაც, რომელთა ფუძისეული ი არასოდეს თანხმოდანს
მოსდევს, აქვთ პარალელურად ეხმოდანფუძიანი ფორმები ძველ ქართულში, ახალ
ქართულში კი ეს უკანასკნელია გავრცელებული. მაგალითად, ძველად გვქონდა
სახელი ათანასი: თქმული ათანასი მთავარეპისკოპოსისა (უსალმ. 446, 3),
ტექსტებში ადრევეა დამოწმებული ათანასე: ათანასე ალექსანდრიელი
(მოდრ. 117 v; იქვე ეს სახელი ასეა დაწერილი: ათანასე ე), ათანასი
სასულიერო ხასიათის ტექსტებში გვიან გვხვდება: წმიდისა ათანასისი... ათა

ნ ა ს ი ალექსანდრიელისა... ა თ ა ნ ა ს ი ლავრის მაშენებლისა (1756 წ. S 2569, აღწ. S IV, 70, 79, 84). მაგრამ ეს სახელი ჩვენში ადრევე ე ხმოვანფუძიანი ფორმით გავრცელებულა ხალხში: კულად მოვიდა ა თ ა ნ ა ს ე (იოან. და ეფთ. 41); განვაწესეთ პანაშვიდი... ა თ ა ნ ა ს ე ს თ ჯ ს (ათ. 231, XI ს. ხელნაწ. 191 v); მართებს შალამბერიძესა ა თ ა ნ ა ს ე ს პარტახტსა (1578 წ. დავთ. 12); მართებს ა თ ა ნ ა ს ე ს ე უ ლ ს ა პარტახტსა (დავთ. 7). სასულიერო პირსაც, რომელსაც ა თ ა ნ ა ს ი ჰრქმევია, ზოგჯერ ამ სახელის უფრო გავრცელებული ფორმით იხსენიებენ: არქიმანდრიტს ა თ ა ნ ა ს ი ს სამი მინალთუნი... არქიმანდრიტს ა თ ა ნ ა ს ე ს სამი მინალთული (1813 წ. მას. I, 330, 332).

#139

ძველ ქართულში გვაქვს ი გ ნ ა ტ ი (იგნანტი), ე გ ნ ა ტ ი, ე გ ნ ა ტ ი ო ს და სხვ: იანვარსა კთ: ი გ ნ ა ტ ი ს ი და ოქროპირისადვე (კალენდ. 259); მოციქულთა კულასა შეუდეგ, ი გ ნ ა ტ ი (მოდრ. 171 v); ი გ ნ ა ტ ი ო ს ი ს ი მთავარეპისკოპოსისად (კალენდ. 278). ი გ ნ ა ტ ი ო ს ზუსტი გადმოცემაა Ἰγνατιος-ისა (ი გ ნ ა ნ ტ ი, ი გ ნ ა ნ ტ ი ო ს, შესაძლოა გ ე რ ო ნ ტ ი, ლ ე ო ნ ტ ი და მსგავსი სახელების ანალოგიითაა მიღებული). ასახსნელია ე გ ნ ა ტ ი, რომელიც უძველეს ძეგლებშივე გვხვდება: შევამკობდეთ ე გ ნ ა ნ ტ ი ს (მოდრ. 117 v). შესაძლოა, რომ ე სახელის დასაწყისში გაჩნდა ანალოგიით: ძალიან ბევრი ბერძნული სახელი ე-თი იწყება ქართულში: ე ვ დ ე მ ო ნ, ე ვ გ რ ა ფ ი, ე ვ ს უ ქ ი, ე ვ ს ე ბ ი, ე ვ ს ტ რ ა ტ ი, ე ფ თ ჯ მ ი და მრავალი სხვა. ე გ ნ ა ტ ი ადრე გავრცელებულა ჩვენში: ალაპი არს მამისა ე გ ნ ა ტ ი ს ი (ათ. 229, ტექსტის ხელით, ხელნაწ. 186 r); ჴელითა... თუმანიშვილის ე გ ნ ა ტ ი ს ა თ ა (1781 წ. სიძგ. II, 551); მე, ე გ ნ ა ტ ი მდივანს, ვალი მემართა (1787 წ. მას. II, 74); გიორგი ე გ ნ ა ტ ი ს ძე თუმანოვისაგან (1821-1823 წ. S 1512, აღწ. S II, 284-285). დღეს საყოველთაოდ გავრცელებულია ე ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიით მიღებული ე გ ნ ა ტ ე.

დ ე მ ე ტ რ ე ჩვეულებრივ ე ხმოვანფუძიანი იყო ძველ ქართულში: ამ ფორმით ეს სახელი ძალიან ადრე გვხვდება: დ ე მ ე ტ რ ე ს ჴპატოსსა მეოხ ხეყავ (ქრესტ. 1). ეს წარწერა მცხეთის ჯვარზე VI ს. უკანასკნელ ათეულს უნდა ეკუთვნოდეს¹³. პირველი ორი ე ბერძნული η-ს ძველ გამოთქმას გადმოსცემს (Δεμετριος), ბოლო კი ხმოვანთა ასიმილაციის შედეგია (*დემეტრი -> დემეტრე). დ ი მ ი ტ რ ი ახალი ბერძნული გამოთქმის შესაბამისი დაწერილობაა. ბერძნული სახელების ახალი გამოთქმის ასახვა ქართულ წყაროებში დიდი რაოდენობით იწყება მხოლოდ X-XI საუკუნეებიდან, თუმცა თვითონ ბერძნულში ეს ცვლილება V საუკუნისთვისაა უკვე მომხდარი¹⁴. X ს. ძეგლებში აქა-იქ დ ი მ ი ტ რ ი გვხვდება;

¹³ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1951, გვ. 288-289.

¹⁴ ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, 1964, გვ. 42.

დ ი მ ი ტ რ ი ს და პანტელემონს (მოდრ. 117 r); მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ფორმა დასტურდება დ ე მ ე ტ რ ე-ს პარალელურად საშუალო ქართულის ძეგლებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არქაული დ ე მ ე ტ რ ე გავრცელებულა და დიდხანს შემორჩენილა ცოცხალ მეტყველებაში: მეფეთ-მეფისა დ ე მ ე ტ რ ე ს ი (1475 წ. სიძვ. II, 42). ამას მოწმობს აგრეთვე გვარები დ ე მ ე ტ რ ა მ ე და დ ე მ ე ტ რ ა შ ვ ი ლ ი: დ ე მ ე ტ რ ა შ ვ ი ლ ი მღვდელი პავლე (1690 წ. დოკ. I, 84); დ ე მ ე ტ რ ა შ ვ ი ლ ი გიორგა და შემაზა (1711-16 წწ. დოკ. I, 148). სხვა მაგალითებიც ამტკიცებს, რომ სწორედ არქაული ფორმა ამ სახელისა დარჩა ხალხში; ჩემა ძმამა დ ე მ ე ტ რ ე მ ა (1719 წ. დოკ. I, 389); მოგეცით... ქსნის ერისთავს დ ე მ ე ტ რ ე ს (1738 წ. დოკ. I, 276). ასეთი მაგალითები უცხო არაა ქართული ონომასტიკონისათვის. მაგალითად, ახალი ბერძნული გამოთქმის აამსახველი ვ ა ს ი ლ ადრევე გვხვდება ქართულ ტექსტებში: დაიწერა... ქრონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს... მეფობასა ბერძენთა ზედა ვ ა ს ი ლ ი ს ს ა (XI ს. A 1103, აღწ. A IV, 84); მე მამასა ვ ა ს ი ლ ი ს და ყოველთა ძმათა

#140

დაგვიწერია (ათ. 254, ხელნაწ. 201 v). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართულში ტრადიციულადაა დამკვიდრებული ბ ა ს ი ლ, რომელიც დიალექტებში დღესაც დაიძებნება. XIX საუკუნეში, ალბათ, რუსულის გავლენით, ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირდება დ ი მ ი ტ რ ი (ისევე, როგორც ვ ა ს ი ლ): თქმული მისივე დ ი მ ი ტ რ ი მდივნის თუმანოვისაგან (1821—1823 წწ. S 1512, აღწ. S II, 275). ეს ახალი ფორმა დღეს ძალზეა გავრცელებული, მაგრამ ზოგჯერ (ქართლში, კახეთში) შეიძლება დ ე მ ე ტ რ ე - ც შეგვხვდეს.

ძველ ქართულში გვხვდება სახელი ე რ ა კ ლ ე: ვაჟებდეთ ე რ ა კ ლ ე ს (მოდრ. 117 r) ეს სახელი გადმოსცემს ბერძნული Ἡρακλῆς სახელის ძველ გამოთქმას. იქ დამოლოებიანი სახელების გადმოცემისას ს ქართულში ჩვეულებრივ არ გვხვდება¹⁵. საერო ხასიათის ძეგლებში ეს სახელი იშვიათად გვხვდება. ე რ ა კ ლ ე ჰრქმევია კახთა მეფის ალექსანდრე I-ის ვაჟს: პატრონმან ალექსანდრე და... ძეთა ჩუენთა: პატრონმან ე რ ა კ ლ ე (1582 წ., დოკ. I, 10); ე რ ე კ ლ ე ე რ ა კ ლ ე-დანაა მიღებული ხმოვნის ასიმილაციით; ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ეს სახელი საქართველოში მაინცდამაინც გავრცელებული არ ყოფილა, თუმცა იგი დღეს ყველასათვის ნაცნობია ერეკლე II-ის სახელის გამო. ერეკლე II წყაროებში ხშირად იხსენიება როგორც ი რ ა კ ლ ი: ჩუენ... ი რ ა კ ლ ი მეორემან (1783 წ. სიძვ. II, 531); მეფობასა კეთილმსახურისა ი რ ა კ ლ ი მეორისა (1771წ., Q 70, აღწ. Q I, 86). მაგრამ მისივე ბეჭედს აწერია: ე რ ე კ ლ

¹⁵ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული... სახელების გადმოცემისათვის, გვ. 158—159.

ე (სიძვ. II, 532, 556). ასევე აწერს იგი ხელს¹⁶ გიორგიევსკის ტრაქტატს. მწიგნობრულ გავლენას უნდა მიეწეროს ჰერეკლე: მეფის თეიმურაზის ძის ჰერეკლესასა (1746 წ. A 1402, აღწ. A IV, 497). ასევე ხელოვნური ფორმაა ჰორაკლი: მისივე ცხებულის ძე ჰორაკლი (1760 წ. A 1162, აღწ. A IV, 211). ორივე შემთხვევაში ჰ, შესაძლოა ბერძნული spiritus asper-ის გადმოსაცემადაა ნახმარი; არ არის დაუშვებელი ვარაუდიც, რომ ჰერეკლე სომხურის გავლენის შედეგია. ორაკლი დღეს საკმაოდ გავრცელებული სახელია. ფორმით იგი Ἡρακλῆς სახელის ახალ გამოთქმას შეესაბამება. აქა-იქ (კახეთში, მთაში) ერეკლე სახელიც შეიძლება შეგვხვდეს.

XII-XVIII საუკუნის ტექსტებში ფუძისეული ი ზოგჯერ შენარჩუნებულია უცხო წარმოშობის სხვა სახელებშიც, აგრეთვე ზოგიერთ სიტყვაში: შაჰზადამა ნურალის უჩივლა (1759 წ. სამდ. 44); იაზიჩოღლიმ ისიას უჩივლა (XVIII ს. II ნახ. სამდ. 54); სომეხმა მადანჩიმ სამი ძროხა უჩივლა (1755 წ. სამდ. 23); იავანგულმა მილდისის უჩივლა (1757 წ. სამდ. 44). მადანჩი თურქული სიტყვაა (madenci) და მადნის მთხრელს, მემდაროეს ნიშნავს. მილდისი სომხური სიტყვაა — մլղղլսի — ლიტერატურული մաի փսսի — იგი ნიშნავდა თავდაპირველად აღთქმისამებრ იერუსალიმში სალოცავად ნამყოფს, შემდგომში კი ეკლესიის მნათეს, მწირს, მორჩილს¹⁷. ფუძისეულ ი ხმოვანს სიტყვა ინარჩუნებს, თუ მისი უცხო წარმომავლობა მკვეთრად შეიგრძნობა.

#141

სხვა შემთხვევაში ი ხმოვანი ბრუნვებში მოიკვეცება. ამისი მაგალითები ქართულში მრავლადაა¹⁸.

იშვიათ შემთხვევაში ქართულში დადასტურებულია ბრუნვისეული ი-ს ფუძისეულად ქცევა საკუთარ სახელებში. ყველაზე გავრცელებული ასეთ სახელთაგან არის გივი. ეს სახელი წარმოშობით სპარსულია (گي). „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებში გივი ხშირად გვხვდება და იბრუნვის, როგორც თანხმოვანფუძიანი სახელი: გივმან უთხრა (შაჰნ. 2943); გივსა და ტუსის უბრძანა (2957). ასევე იბრუნვის ეს სახელი XVII-XVIII ს. ს. დოკუმენტებში; გივს რომ ქაუთარადისოული მამული ეჭირა (1670-იანი წწ. იმ.-გურ. 39); გიბოძეთ... გივს, დავითს (1681 წ. სიძვ. III, 565); მოგეცი... გივს (1709 წ. სიძვ. III, 407); გიბოძეთ ჩვენ, ამირახორმა გივმან (1744 წ. იმ.-გურ. 73); ზოგჯერ ამ დროისათვის სახელის ბრუნება უკვე ხმოვანფუძიანის კვალობაზე ხდება: მამაცასშვილმან გივიმ და ქაიხოსრომ მიქელამ თავის მეზობელს რამაზისშვილს ოცდათექვსმეტი

¹⁶ ი. ციხცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. 1960, გვ. 229, 233.

¹⁷ ლ. მელიქსეთ-ბეგი; საიათნოვა, 1930, გვ. 31.

¹⁸ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 67.

კოდი პური უჩივლეს (1756 წ. სამდივ. 37); ასევე თანხმომავანფუძიანია წარმოშობით ტ უ ს ი და თ უ რ ი (სპარს. طوس და تور). ეს სახელები ქართულ ონომასტიკაში იშვიათად გვხვდება. დადასტურებულია „შაჰნამეს“ ტექსტში, სადაც ჩვეულებრივ ხმომავანფუძიანია: ტ უ ს ი სპანი შეუზახნა (3379), ტ უ ს ი ს თვალთა დაუბნელდა (3381), ზოგჯერ ეს სახელები თანხმომავანფუძიანია: ტ უ ს მ ა ნ ესგრე მოახსენა (2138). თ უ რ ი ერაჯს ეგრე უთხრა (ტ. II, გვ. 409, 29), მაგრამ: მიუწერა ძმასა თვსსა თ უ რ ს (ტ. II, გვ. 401, 1 ქვ). ტ უ ს ი სახელიდან არის წარმომდგარი გვარი ტ უ ს ი შ ვ ი ლ ი: ტ უ ს ი ს შ ვ ი ლ ი ს ალექსის ბრძანებით (1808 წ., S 3704, აღწ. S V, 205).

სპარსულიდან შემოსული ქალის სახელი ვ ი ს ი (ويس) აგრეთვე თანხმომავანფუძიანია წარმოშობით. „ვისრამიანში“ იგი ხშირად იბრუნვის, როგორც ფუძეთანხმომავანი: ვ ი ს მ ა ნ პასუხი გამოსცა (ვისრ. 172, 6); ვ ი ს მ ა ნ კუალაცა უბრძანა (222, 8); ვ ი ს ს ა თმობის საფარველი აჰყადა (186, 8). მაგრამ ამ მაგალითების გვერდით ისეთიც გვხვდება, სადაც ვ ი ს ი უკვე ხმომავანფუძიანია: რამინის წიგნი მოუვიდა ვ ი ს ი ს (195, 22), მერე ვ ი ს ი ც ა შეჰვიცა (101, 20), ჰე ღმრთისა უარის-მქმნელო ვ ი ს ი ! (104, 6).

სახელები გ ი ვ ი, ტ უ ს ი, ვ ი ს ი, ხმომავანფუძიანად, შესაძლოა, იმიტომ იქცა, რომ ერთმარცვლიანი საკუთარი სახელები ქართულში არ გვხვდება, ორმარცვლიანი კი ჩვეულებრივია. დიალექტურ მეტყველებაში გ ი ვ ი ზოგჯერ თანხმომავანფუძიანია დღესაც: გ ი ვ მ ა თქვა.

სპარსულიდან შემოსული სახელების ერთ წყებას ბოლოში ორი თანხმომავანი აქვს. ასეთებია „შაჰნამეში“ დადასტურებული ზ ა რ ა ს კ (زراسب), ზ ა რ დ ა შ ტ (زراشت), ა რ ჯ ა ს კ (ارجسب), გ ო რ ჯ ა ს კ (گرشاسب), უ შ ე ნ გ (هوشنگ), ფეშანგ (پیشنگ), ვ ა ხ უ შ ტ (შდრ. სპარს. vāixušt)¹⁹, ქ უ მ ს (کومس). ორი თანხმომავანი აქვთ ფუძის ბოლოს აგრეთვე ბ ა კ უ რ დ უ ხ ტ, გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ, მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ სახელებს, რომლებიც უფრო ადრეა ქართულ ენაში შემოსული.

#142

„შაჰნამეში“ ზემოთ ჩამოთვლილი სახელები თანხმომავანფუძიანია: გ ო რ ჯ ა ს კ ს ჰგავს, ამას იტყოდეს (3831); ვ ა ხ უ შ ტ ს ეტლი მოერია (4588); უ შ ე ნ გ ს, ტომერანს და ჯიმშედს (2964). შდრ. უ შ ა ნ გ ს ერთი ფალავანი ახლავს(ყარამ. 101). თვითონ „შაჰნამეში“ ეს სახელები ზოგჯერ ი ხმომავანს ირთავენ ფუძის ბოლოში: ქ უ მ ს ი თქვა (3592); არცა... ზ ა რ დ ა შ ტ ი ს (მიც. ბრ.)... გაჰგონებია (5224); გ ო რ ჯ ა ს კ ი ს ა მას რა უგავს (784); წიგნი მისწერეს ა რ ჯ ა ს კ ი ს (5225). რომ ეს მართო რითმის საჭიროებით არაა გამოწვეული, ჩანს ქართული ტექსტებიდან, რომლებშიც ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილ სახელთაგან საკმაოდ ხშირად

¹⁹ F. J u s t i, Iranisches Namenbuch, 1895, გვ. 344.

გვხვდება: გიბოძეთ შენ... ბარათაშვილს ქ უ მ ს ი ს (1744წ. იმ.-გურ. 73); გიბოძეთ... აბაშიძეს ლევანს შვილს ვ ა ხ უ შ ტ ი ს (1711 წ.იმ.-გურ.47). აბაშიძეს ბატონს ვ ა ხ უ შ ტ ი ს მივათხოვეთ ... ბატონისშვილი ანუკა (1712 წ., სიძვ. III, 482); გიბოძეთ... ჯიმშიტს... გ ო რ ჯ ა ს პ ი ს, (1658 წ. სიძვ. II, 130);... ბატონს ერასტის... გ ო რ ჯ ა ს პ ი ს... ვახუშტის (1692-1703 წწ. სიძვ. II, 430); გ ო რ ჯ ა ს პ ი მ ნაბიას უჩივლა (1756 წ. სამდივ. 41); მე, გ ვ ა რ ჯ ა ს პ ი ს, დამიწერია (1722—38 წწ. დოკ. I, 455); თაყინას-შვილს ფ ე შ ა ნ გ ი ს დამიწერია (1690 წ. დოკ. I, 84). ამ სახელებში ბრუნვის ი ხმოვანი სხვა ბრუნვებშიც შენარჩუნებულია. თანამედროვე ქართულში ცოცხალ მეტყველებაში სახელები ვ ა ხ უ შ ტ ი, უ შ ა ნ გ ი სათანადო ბრუნვებში ი ხმოვანს ინარჩუნებს (უ შ ა ნ გ ი მ მოიტანა, ვ ა ხ უ შ ტ ი ს მივწერე). ივანე ჯავახიშვილი ხშირად ახსენებს ცნობილ ისტორიკოსს, ვახტანგ ბაგრატიონის ძეს და მის სახელს ყოველთვის ხმარობს როგორც თანხმოდანფუძიანს: ბატონიშვილს ვ ა ხ უ შ ტ ს მოუხდა.²⁰ ეს სწორი ფორმა დღეს ხელოვნურის, მწიგნობრულის შთაბეჭდილებას სტოვებს.

სახელი ვ ა ხ ტ ა ნ გ ქართულ წყაროებში უძველესი დროიდანაა ცნობილი: ეწოდა ვ ა ხ ტ ა ნ გ (ქ. ც~ბა, I, 143). ეს სახელი, რომელიც ირანულია წარმოშობით²¹, სალიტერატურო ენის ნორმებისმიხედვით თანხმოდანფუძიანია, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში (რადგან მას ფუძისბოლოს ორი თანხმოდანი აქვს) იგი ხშირად დღეს ისე იბრუნვის, როგორც ი ხმოდანფუძიანი: ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ დაწერა.

სახელი ქ უ მ ს ი დღეს ქართულ ონომასტიკაში აღარ იხმარება. ადრე იგი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მისი კნინობითი ფორმაა ქ უ მ ს ი ა: მჭადაულიძე თამაზა და ქ უ მ ს ი ა (1738 წ. დოკ. I. 279). ამ სახელიდანაა ნაწარმოები გვარები ქ უ მ ს ი ა შ ვ ი ლ ი და ქ უ მ ს ი შ ვ ი ლ ი: ქ უ მ ს ი შ ვ ი ლ ს დიმიტრის ბოძებია (1790 წ. მას. III, 99); ქ უ მ ს ი ა შ ვ ი ლ მ ა ერთი აბაზი (1738 წ. დოკ. I, 284).

გ ო რ ჯ ა ს პ, როგორც ზემოთ ვნახეთ, საკმაოდ გავრცელებული სახელი ყოფილა ჩვენში. ამჟამად დასავლეთ საქართველოში ეს სახელი გ ო რ ჯ ა ს პ ი რ ფორმით გვხვდება (ოქროპირ სახელის ანალოგიით):

გ ი ვ ი სახელის ხმოდანფუძიანობა დღეს სალიტერატურო ქართულის ნორმებს არ ეწინააღმდეგება. ამისაგან განსხვავებით, ქართული ენისათვის მიუღებლად უნდა იქნას მიჩნეული ტენდენცია ფუძეთანხმოდანი სახელების

²⁰ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1951, გვ.283.

²¹ მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, 1966, გვ. 467—488.

ბრუნებისას სახელობითის ნიშნის შენარჩუნებისა სხვა ბრუნვებში ისეთ სახელებში, რომელიც ფუძეთანხმოვნია და რომელსაც ფუძის ბოლოს ცალი თანხმოვანი აქვს (VC #): გ უ რ ა მ ი მ მითხრა; ლიამ ე თ ე რ ი ს (მიც. ბრ.) წიგნი მისცა; ო თ ა რ ი, მოდი აქ! ეს ტენდენცია, რომელიც ამჟამად თბილისის მეტყველებაში თანდათან იკიდებს ფეხს როგორც ჩანს, დასავლური კილოებიდან მოდის²², ხოლო იქ მეგრული ენის გავლენით უნდა იყოს დამკვიდრებული: როგორც ცნობილია, მეგრულსა და ჭანურში სახელობითის ი შენარჩუნებულია სხვა ბრუნვებშიც და წოდებითის ფორმა სახელობითისაგან არ განსხვავდება²³.

თითო-ოროლა მსგავსი მაგალითი ადრეც შეინიშნება დოკუმენტებში: ზაალიშვილმა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი მ ამისი ასლი სიგელი ვნახე (1733-39 წწ. სიძვ. II, 182); მოგეცი მე, ავთანდილ აბაშიძის შვილმა ა მ ა შ ი მ (1743 წ.იმ.-გურ. 71). ზოგ შემთხვევაში ასეთი ფორმები შეიძლება აგრეთვე დასავლური კილოების გავლენას მიეწეროს.

დასასრულ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ი-ს ინარჩუნებენ თანამედროვე ქართულში კნინობითი სახელები: გ ი გ უ ც ი მ გააკეთა, ნ ა ნ უ ლ ი ს მივეცი, ბ ე ჟ უ კ ი მ მოიტანა, შდრ. შვილმან ჩემმან ბ ა ხ უ ტ ი მ (1663 წ. პირი, სიძვ. II, 89). საფიქრებელია, რომ ი ამგვარ სახელებში მორფოლოგიური ფორმანტის ნაშთია.

²² შდრ. ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრულ და ქვემოიშვრულ კილოკავებთან მიმართებით შუაიშვრულის საკითხისათვის. „მაცნე“, 1967, 3, გვ. 213.

²³ ი. კიპშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, გვ. 016

დამოწმებული წყაროები:

1. აბუს. — აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე. 1233 წ. ტექსტი. გამოსცალ. მუსხელიშვილმა. 1941.
2. ათონ. — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. 1901.
3. ასურ. — ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გამოსცა ილია აბულაძემ, თ.ს.უ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 1955.
4. აღწ. — საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (მაგალითებში მითითებულია კოლექციის შიფრი, ტომი და გვერდი).
5. დავთ. — დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა. 1578 წ. ძველი საქართველო, ტ. IV. 1908 წ.
6. დოკ. — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, 1940.
7. ვისრ. — ვისრამიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ. 1962.
8. იერ.— ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. 1962.
9. იმ.-გურ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა. წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. 1959.
10. იოან. და ეფთ. — გიორი მთაწმიდელი. ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. ძველი ქართული ენის ძეგლები, 3. 1946.
11. კალენდ. — იოანე ქართველის კალენდარი. წიგნში: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. V, 1957. გვ. 242 და შემდ.